გადაწყვეტილება

N გ-22-17/294
07/07/2022

294-გ-22-1-4-202207071340

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის №29 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2022 წლის 07 ივლისს N29 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გადაიდოს კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 07 ივლისს N29 სხდომის დღის წესრიგის პროექტის მე-9 საკითხის (საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის რადიოსიხშირეების მინიჭების შესახებ) განხილვა 2022 წლის 14 ივლისს, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მქონე კომისიის წევრთა კვორუმის არარსებობის გამო;
2. კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 07 ივლისს N29 სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (თან ერთვის);
3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ნათია კუკულაძე



წევრი